ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2023 წლის 28 თებერვალი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უკვე ერთი წელი გავიდა უკრაინა-რუსეთ შორის ომის დაწყებიდან, კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს უთანასწორო ბრძოლაში და გამარჯვება უსურვა მათ. ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მერიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი სალომე ცხადაია, ასევე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა ორი ახალგაზრდა და სთხოვა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას წუთიერი დუმილით პატივი მიაგოთ მათი ხსოვნისთვის.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე)

6. „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N26 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭისყრამდე სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ შენიშვნები და მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა ისაუბრა საკრებულოს სხდომების ლაივ ტრანსლაციის შესახებ, ქალაქში საგზაო ნიშნების დამატებით განთავსებასთან დაკავშირებით და საშუალო ვადიანი გეგმის შემუშავებისთვის, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით.

ლ. ქავთარაძე - სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით თუ არ ჰქონდა შენიშვნები ან წინადადებები, მაშინ იძულებული იყო გაეთიშა მომხსენებლისთვის მიკროფონი. მისი განცხადებით, რაზეც საკრებულოს წევრი მალხაზ იოსავა საუბრობდა იყო პოპულიზმი და სხვა არაფერი. თუ მართლა მას სურდა სამუშაო ჯგუფის შექმნა ან რაიმე სხვა კონკრეტული საკითხის განხილვა, შეეძლო წერილობით

მიემართა საკრებულოსთვის და შესაბამისად მოხდებოდა წარმოდგენილი საკითხის განხილვა.

ლ. შამათავა - საკრებულოს აპარატის უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ რეგლამენტის შესაბამისად, მ. იოსავას მიერ დასმული საკითხები დღის წესრიგს არ უკავშირდებოდა, რაც შეეხებოდა სამუშაო ჯგუფის შექმნას, მას შეეძლო წერილობით არგუმენტირებულად შემოსულიყო საკრებულოში, თუ რა მიზნით სურდა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის ხანგრძლივობა შეიძლება განსაზღვრულიყო კანონის შესაბამისად სამი თვით.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. კუკავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. **ლიპარტია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან" (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) 105994,25 ლარით და ქვეპროგრამის ,,საჯარო სკოლების დაფინანსება" „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა–გადაყვანის) ხარჯი" ასიგნება 806245,24 ლარით. ასევე „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის #116 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია 105,0 ათასი ლარი. სულ ბიუჯეტში შემოსულობები გადიდდა 1017.2 ათასი ლარით და განისაზღვრა 20743,8 ათ ასი ლ არით . 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 551.5 ათასი ლარი, (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: **პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე 28,3 ათასი ლარი, აქედან:** 13,3 ათასი ლარი - ,,სხვა ხარჯები"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული" ასიგნებაზე (საკრებულოს წევრების გარდა თანამდებობის პირებისა მოვალეობის შესრულესთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები); და 15,0 ათასი ლარი - ,,სოციალური უზრუნველყოფა" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სოციალური დახმარება" ასიგნებაზე; **პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 516,2 ათასი ლარი, აქედან:** 503,7 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნებაზე, აქედან: 468,9 ათასი ლარი - მუხლის ,,არაფინანსური აქტივები" ასიგნებაზე, მათ შორის: 15,0 ათასი ლარი - პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში გოგი ბუკიას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 30,0 ათასი ლარი - ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 35,0 ათასი ლარი - ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 0,9 ათასი ლარი - ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში

რკინიგზისქვეშა გასასვლელის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 15,0 ათასი ლარი - ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ლაჟვარდი ბუკიას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 2,5 ათასი ლარი - ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი (ჩოლოყაშვილის ქუჩა) გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 134,4 ათასი ლარი - ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში (მონასტრის უბანი) სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები; 20,0 ათასი ლარი - ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის (ორი მონაკვეთი: საჯიშკარიანო, საბასილაიო) რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 50,4 ათასი ლარი - 9 ცალი ნომრის ამომცნობი ვიდეო კამერა ინსტალაციით; 32,3 ათასი ლარი - 21 ცალი ზოგადი ხედვის კამერა ინსტალაციით; 39,0 ათასი ლარი - 10 ცალი კავშირის წერტილი და და უწყვეტი კვების სისტემა; 17,0 ათასი ლარი - 5 ცალი ნომრის ამომცნობი ვიდეო კამერის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობ ანალიტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზია, 1 წლიანი მხარდაჭერით; 27,2 ათასი ლარი - 20 ცალი Milestone პროგრამული ლიცენზია-შსს ბალანსზე რიცხულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი; 50,2 ათასი ლარი - სერვერი; 34,8 ათასი ლარი - ,,საქონელი და მომსახურება"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი" ასიგნებაზე, მათ შორის: 2.4 ათასი ლარი - 5 ცალი ნომრის ამომცნობი ვიდეო კამერის ტექნიკური მომსახურება, მოვლა-პატრონობა; 4,8 ათასი ლარი - 20 ცალი ზოგადი ხედვის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ტექნიკური მომსახურება, მოვლა-პატრონობა; 27,6 ათასი ლარი - 10 ცალი ვიდეო ნაკადის (IP Stream) ტრანსპორტირების უზრუნველყოფა კავშირის წერტილიდან შსს 112 (ქ. თბილისი) მონაცემთა დამუშავების ცენტრამდე (12 თვე); 2,5 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" ასიგნებაზე, აქედან: 2,5 ათასი ლარი - ქალაქ ხობის ქუჩების (გურამიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გორგასალის) გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; გ.ბ.გ) 10,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" ასიგნებაზე, აქედან: 0,3 ათასი ლარი - ქ. ხობში (შუშანიების უბანში) სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 9,7 ათასი ლარი - ქ. ხობში (შუშანიების უბანში) სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები; **პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებებზე 7,0 ათასი ლარი, აქედან:** 7,0 ათასი ლარი -

ქვეპროგრამის ,,ავადმყოფთა სოციალური დახმარება" ასიგნებაზე, 7,0 ათასი ლარი - ,,ც" ჰეპატიტის პროგრამის ასიგნება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების თანახმად, საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები რეგულირდებოდა საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", რომელსაც შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონი. ზემო აღნიშნული ცვლილება აისახა წარმოდგენილ რეგლამენტის ცვლილებაში. ამასთან კანონში განხორციელებული სხვა ცვლილებებიც, რაც შეეხებოდა: საკრებულოს ორგანიზაციული საკითხებს, საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელებას. ასევე მერის უფლებამოსილებას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით წერილობითი მიმართვის შესაძლებლობის შესახებ ასახულია წარმოდგენილ ცვლილებების პროექტით. ზემო აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2022 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N7 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ და განაცხადა, რომ შემოდის წინადადებით დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ბ. თამლიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მოსახლეობას ძალიან უჭირს და ორი ლარის გადახდა დასუფთავების მოსაკრებლზე ძალიან გაუჭირდებათ, მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა გადასახადი დასუფთავების მოსაკრებელზე 1 ლარი ყოფილიყო ოჯახზე. ასევე სასურველი იქნებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახები განთავისუფლებულიყო გადასახადისაგან.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ დასუფთავების მოსაკრებლის დაწესება ხდებოდა ქალაქის მიმდებარე სოფლებზე და თუ თანხის ამოღების პროცესი გაამართლებდა, შემდგომ დაემატებოდა დანარჩენი სოფლები და მისი აზრით წელიწადში ოჯახზე 24 ლარი დიდი თანხა არ იყო. რაც შეეხებოდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მოსაკრებლიდან განთავისუფლებას, ისინი ისედაც განთავისუფლებული იყვნენ კომუნალური გადასახადებისგან, რადგანაც აღნიშნულ თანხას მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იხდიდა.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „დასუფთავების მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ" საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2022 წლის 29 დეკემბერს, რომელზეც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა სამართლებრივი შენიშვნები, კერძოდ: დადგენილების პრეამბულაში მიღებული დადგენილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულიყო სამართლებრივი აქტების შესაბამისი მუხლები; დადგენილებიდან ამოსაღები იყო კომლზე დადგენილი დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა; ასევე მოთხოვნილი იყო დადგენილებაში მითითებული ყოფილიყო მერიის შესაბამისი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა ზედამხედველობას და მონიტორინგს დადგენილებით დადგენილი წესების შესრულებაზე და ა.შ. მიღებული სამართლებრივი შენიშვნები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას. მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული შენიშვნები და მიზანშეწონილად ჩაითვალა ახალი აქტის გამოცემა და 2022 წლის N25 დადგენილების გაუქმება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განცხადებით შემოვიდა საკრებულოს წევრი მ. ჩარტია საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების 350 ლარიდან 500 ლარამდე გაზრდის თაობაზე. საკრებულოს წევრის მ. ჩარტიას განცხადების საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოძიებულ იქნა დამატებითი თანხები 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში, რომლის თანახმად საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით. მოქმედი დადგენილებით საკრებულოს თითოეულ წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის გაცდენისთვის უმცირდებოდა თანხა 20 ლარის ოდენობით. გამომდინარე იქედან , რომ საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა

განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკრებულოს სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში ხარჯების 40 ლარით შემცირება, ხოლო კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომის გაცდენის შემთხვევაში 30 ლარის ოდენობით. შესაბამისად კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ კანონში წერია საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია შეადგენდეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობის სარგოს 15%-ს და ეს თანხა გამოდის გამოდის 750 ლარი და არა 500 ლარი, რომელიც პროექტით იყო წარმოდგენილი. მისი განცხადებით საქართველოში არსებულ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ბევრად მეტი იყო საკრებულოს წევრის ხარჯების ანაზღაურება, ვიდრე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

ა. მალანია - გამომსვლელმა განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებისთვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობის სარგოს მაქსიმალურ ოდენობის 15%-ს და არა, ის რომ გინდა თუ არა იყოს 15%.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს წევრი მ. იოსავა აკეთებდა პოპულისტურ განცხადებებს, რადგანაც მისგან ოფიციალურად არცერთი განცხადება არ შემოსულა საკრებულოში, საკრებულოს წევრებისთვის თანხის გაზრდასთან დაკავშირებით. ამ ეტაპისთვის ოფიციალური წერილით შემოსული იყო საკრებულოს წევრი, მისი ყოფილი თანაფრაქციელი მაკა ჩარტია, რომელმაც მოითხოვა საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების 350 ლარიდან 500 ლარამდე გაზრდა, რის საფუძველზეც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოძიებულ იქნა დამატებითი თანხები

ადგილობრივ ბიუჯეტში და საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით და თუ საკრებულო დაეთანხმებოდა წარმოდგენილ პროექტს დამტკიცდებოდა შესაბამისად.

მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ის პროტესტის ნიშნად ტოვებდა 2023 წლის 28 თებერვლის საკრებულოს სხდომას, რის შემდგომაც დატოვა სხდომათა დარბაზი.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, კ. გერგაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის

6. „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N26 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N26 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მის მიერ დასმული საკითხი განსახილველ საკითხს არ ეხებოდა, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხიბულის N1 საჯარო სკოლა, როგორც ყველასათვის ცნობილია ავარიულ მდგომარეობაშია, აქედან გამომდინარე მოსწავლეები დროებით გადაყვანილ იქნენ

საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებულ დაწყებით სკოლაში, სადაც საშინელი მდგომარეობა იყო, გათბობა არ ჰქონდათ ბავშვებს, შენობას არ აქვს ფანჯრები და კარები, საპირფარეშო ავარიულ მდგომარეობაშია და ითხოვა შუამდგომლობა ხობის რესურსცენტრთან ან შესაბამის უწყებებთან, რათა დროულად მოგვარებულიყო არსებული პრობლემა.

ბ. თამლიანი - გამომსვლელი დაეთანხმა წინა გამომსვლელს და აღნიშნა, რომ არსებული პრობლემა უმოკლეს ვადებში იყო მოსაგვარებელი.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ არსებული პრობლემის მოსაგვარებლად, მერიის მხრიდან წერილობით მიემართა შესაბამის უწყებას და ელოდებიან პასუხს, რადგანაც განათლების სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, მუნიციპალიტეტს არ შეეძლო სკოლებში არსებული პრობლემის გადაწყვეტა.

სხდომის თავმჯდომარემ დებატების დასრულების შემდგომ, სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები დაინიშნა 2023 წლის 29 აპრილს. საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს სარჩევნო კოდექსი" ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის დადგენილია შემდეგი ვალდებულებები: ა) არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 10 დღისა უნდა გამოიყოს და გამოქვეყნდეს იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატებისა და სტენდების გაკვრა; ბ) წინასაარჩევნო პერიოდში ხელი უნდა შეეწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში და ამ მიზნით გამოიყოს შესაბამისი შენობა-ნაგებობები. კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N26 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. იოსავა, მ. ლემონჯარია, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N3 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-8 და მე-9 საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა კომისიებში ცვლილებები, კერძოდ: საკრებულოს წევრი ლევან ლაშხია გაწვეულია საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან. საკრებულოს წევრი ბესიკი თამლიანი ფრაქციის მიერ წარდგენილია საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის და საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობაში, ხოლო საკრებულოს წევრი ნინო ბოკუჩავა წარდგენილია ფრაქციის მიერ საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის

კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და საკრებულოს სხდომაზე მიღებულ იქნეს ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N4 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N5 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N6 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდგომ განცხადების გაკეთება ითხოვა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ (ი. ჯიშკარიანი)

მოისმინეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში არსებულ საბავშო ბაღში, აღსაზრდელებისთვის განკუთვნილი ლოგინები იდგა ბეტონის იატაკზე, რაც დაუშვებელი იყო და წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა და ბაღში არსებული პრობლემის სასწრაფოდ მოგვარება ითხოვა.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა დაეთანხმა გამომსვლელს და განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა სასწრაფოდ იყო მოსაგვარებელი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარ შუშანია
4. ლევანი ლიპარტია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. დოდო გაბუნია
9. ია ჯიშკარიანი
10. აკაკი მალანია
11. გიორგი გვასალია
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. ლელა ადანაია
15. ბექა ხარბედია
16. ბესიკი თამლიანი
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ჯანსუღი ჯიშკარიანი
22. მოგელი ხუხია
23. ფელიქსი წურწუმია
24. მაკა ჩარტია
25. ნინო ბოკუჩავა
26. მალხაზ იოსავა
27. ლევანი ლაშხია
28. ფრიდონი კუკავა